„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევისადმი მიძღვნილი მეოთხე პლენარული შეხვედრა

ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადააგდე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანია განვითარება სასრული რესურსების მოხმარებისაგან თანდათანობით გამიჯნოს. ეს ეკონომიკური კონცეფცია აგებულია ნარჩენებისა და დაბინძურების აღმოფხვრის, საქონლისა და ნედლეულის სარგებლობაში შენარჩუნებისა და ბუნებრივი სისტემების აღდგენის პრინციპებზე, რის გამოც მას ხშირად მდგრადი განვითარების მიზნებისა და მწვანე ეკონომიკას უკავშირებენ.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიანი, სისტემური ცვლილებაა საჭირო, რის მისაღწევადაც ძალისხმევა მრავალი მიმართულებით უნდა იქნას მიმართული, მათ შორის შემოღებული უნდა იქნას სათანადო პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც ცირკულარულ ინიციატივებს ხელს შეუწყობს და ცირკულარული ბიზნესმოდელებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს.

საქართველომ ძირითად ამოცანად დაისახა „სასიცოცხლო ციკლის დასრულების“ კონცეფციის ჩანაცვლება ჩაკეტილი ციკლის ეკონომიკური სისტემით. ამ ამოცანის გადასაჭრელად 2018 წელში საქართველოში „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) კონცეფცია ამოქმედდა, რითაც ქვეყანა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა. ამას მოჰყვა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება 2020-2022 წლებში. ცირკულარობის შეფასება წარმატებით განხორციელდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (სბმკ „ორქისი“) მიერ, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებში მომუშავე 36 ექსპერტი შედის. მას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობს. შეფასების პროცესის შედეგად მომზადდა მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება - 2022 წელი“, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული ეკონომიკის 14 პრიორიტეტული დარგი, განსაზღვრულია ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკისთვის რეკომენდირებული რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარობის მიზნები, გამოვლენილია დარგობრივი შესაძლებლობები, შემუშავებულია დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები, წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიის თაობაზე.

ცირკულარობის გზამკვლევზე მუშაობა 2023 წლის სექტემბრიდან დაიწყო. ამ პროცესს კოორდინაციას საქართველოს მთავრობა უწევს, ხოლო მას სბმკ „ორქისი“, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში ახორციელებს. ამ პროცესის საკვანძო დაინტერესებულ მხარეებს განეკუთვნებიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც მასში კოორდინატორის როლი აკისრია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ზემოაღნიშნული ქვეპროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი“-ს ექსპერტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ოთხი პლენარული შეხვედრა და ერთი ეროვნული შეხვედრა იყო დაგეგმილი. მათგან სამი პლენარული შეხვედრა უკვე ჩატარდა, მეოთხე პლენარული შეხვედრა კი 2024 წლის 1 ივლისს გაიმართება. მასზე წარმოდგენილი იქნება ცირკულარობის ეროვნულ გზამკვლევზე მუშაობის ძირითადი შედეგები, რომლებიც ამ დოკუმენტში იქნება ასახული - მათი ნაწილი წინა პლენარულ შეხვედრებზე განვიხილეთ და შემდგომში გადავამუშავეთ. უნდა აღინიშნოს, რომ სბმკ „ორქისი“-ს გუნდი ცირკულარობის ეროვნულ გზამკვლევზე ინტენსიურად მუშაობს, რომ სამუშაო ვერსია, ქვეპროექტის სამუშაო გეგმის შესაბამისად, 2024 წლის ივლისის ბოლოს გავხადოთ ხელმისაწვდომი.

ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავებასთან ერთად, ქვეპროექტი ითვალისწინებს საკვანძო დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სხვა უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში, რათა ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის მზადებისა და განხორციელების პროცესებში მათ ინფორმირებული მონაწილეობა შეეძლოთ.

ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი, რომელთაც ეხმარება საქართველოს ეკონომიკის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტების გუნდი.